

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის როლი ფსიქიკურ ჯანმრთელობაში

მაგისტრი
გვანცა მაისურაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქიატრიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ზავრადაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა მაისურაძე

2022

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია შეაფასოს საოჯახო ტიპის საცხოვრისის გავლენა ქრონიკული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციარების ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე.

2022 წლის იანვარში, „ქ.თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“-ს ბაზაზე საფუძველი ჩაეყარა საოჯახო ტიპის საცხოვრისის „სახლი“-ის დაარსებას, რომელშიც გადაყვანილ იქნა სტაციონარში ხანგრძლივი დაყოვნების 6 ბენეფიციარი (ოთხი ქალიბატონი და ორი მამაკაცი). მათი საშუალო ასაკი არის 54 წელი. ყველა მათგანს აქვს შშმ სტატუსი და მათი დაავადების საშუალო ხანგრძლივობა არის 32 წელი.

კვლევის პირველი ეტაპი ჩატარდა თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში, შეფასება მოხდა ICD-10 კრიტერიუმების გათვლისწინებით, ფსიქოპათოლოგიური სიმპტომების კვლევისთვის გამოყენებული იქნება Brief Psychiatric Rating Scale (**BPRS**); კოგნიტური ფუნქციის შესაფასებლად გამოიყენება ვერბალური სისხარტის ტესტი;

სოციალური ფუნქციონირება შესწავლილ იქნა პერსონალური და სოციალური ქმედუნარიანობის სკალის (The Personal and Social Performance (PSP) scale) მიხედვით.

ცხოვრების ხარისხი შეფასდება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ცხოვრების ხარისხის კითხვარის შემოკლებული ვერსიით (WHOQoL-BREF); საჭიროებათა გამოსავლენად გამოყენებულ იქნება CANSAS-P Camberwell-ის თვითშეფასების ვერსია.

სათემო საცხოვრისში ჩარიცხვის შემდგომ, ბენეფიციარები ჩართულები იყვნენ ფსიქოთერაპიულ ღონისძიებებში: ინტეგრირებული ფსიქოლოგიური თერაპია (IPT) და არტ თერაპია.

ორი თვის ინტერვალით მოხდა პაციენტების ხელახალი შეფასება იმ ცვლილებების გამოსავლენად, რასაც საცხოვრებელი გარემოს შეცვლის შემდგომ გადიან ბენეფიციარები, რა ხარისხის სარგებელი და რა შემდგომი გამოწვევები ახლავს სათემო

საცხოვრისში ქრონიკული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პაციენტთა გადასვლას ხანგრძლივი სტაციონირების შემდგომ.

კვლევის შედეგებით გამოვლინდა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ეფექტურობა,

როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური შეფასების კითხვარებით. განსაკუთრებით თვალსაჩინოა გარემო და სოციალური ფაქტორების გაუმჯობესება/კმაყოფილება. თუმცა კოგნიტური ფუნქციონირების მაჩვენებელმა ორი თვის შუალედით სარწმუნო განსხვავება არ მოგვცა. საინტერესო იქნება შემდგომი კვლევა ამ კუთხით, ხანგრძლივი დროის შუალედით, რათა გამოვავლინოთ რამდენად ინტენსიური სარეაბილიტაციო ფსიქოთერაპიაა საჭირო უნარ-ჩვევების აღდგენა/გავარჯიშებისთვის და რა გამოწვევები ახლავს პროცესს თან.

სამიუზო სიტყვები: ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ფსიქიკური აშლილობები, დეინსტიტუციონალიზაცია, რეაბილიტაცია.

Abstract

The aim of the study was to assess the impact of family-type housing on the psycho-social status of beneficiaries with chronic mental health problems.

In January 2022, on the basis of the Tbilisi Mental Health Center, the foundation was laid for the establishment of a family-type dwelling house, which housed six long-term beneficiaries (four women and two men). Their average age is 54 years. All of them have disability status and the average duration of their illness is 32 years.

The first phase of the study was conducted at the Tbilisi Mental Health Center, evaluated according to the ICD-10 criteria.

The Brief Psychiatric Rating Scale (BPRS) was used to study psychopathological symptoms; Verbal articulation test was used to assess cognitive function;

Social functioning was studied according to the Personal and Social Performance (PSP) scale.

Quality of life was assessed by an abbreviated version of the Quality of Life Questionnaire (WHOQoL-BREF) developed by the World Health Organization; A self-assessment version of CANSAS-P Camberwell was used to identify needs.

After enrollment in community housing, beneficiaries were involved in psychotherapeutic activities: Integrated Psychological Therapy (IPT) and Art Therapy.

Patients were re-evaluated at two-month intervals to identify the changes that beneficiaries undergo after the change of living environment, the quality of benefits, and the subsequent challenges of enrolling patients with chronic mental health's problems in community housing after prolonged hospitalization.

The results of the study revealed the effectiveness of the deinstitutionalization process, with both subjective and objective assessment questionnaires. The improvement/satisfaction of environmental and social factors are particularly visible. However, the index of cognitive functioning did not show a reliable difference between two months. It would be interesting to conduct further research in this regard, over a longer period of time, to reveal how intensive rehabilitative psychotherapy is necessary for skill recovery/training and what challenges accompany the process.

Search Keywords: mental health, mental health problems, mental disorders, deinstitutionalization, rehabilitation.

მადლობა

მადლობას ვუხდით ხელმძღვანელს, საცხოვრისის თერაპევტს, თანამშრომლებს და სათემო მობილურ გუნდს.

ასევე განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით „სახლი“-ს ბენეფიციარებს, რომლებიც დამთანხმდნენ და აქტიურად არიან ჩართულები კვლევაში.